ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლისათვის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ კანდიდატთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2013 წლის 16 ოქტომბრის №03-22060/13 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. 2013-2014 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე ჩასარიცხ კანდიდატთა რეგისტრაციისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 24 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით, მის.: ჭავჭავაძის გამზირი №32, ოთახი A206, ყოველდღე, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე;

2. სტუდენტთა რეგისტრაციასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ - მარიკა გალოგრე და იოსებ მჭედლიშვილი.

3. 2013-2014 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხმა კანდიდატებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობა/ID ბარათი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);
დ) 1 ფოტო სურათი ზომით 3/4 და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD).

4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს უნივერსიტეტის რექტორს არაუგვიანეს 2013 წლის 28 ოქტომბერს წარუდგინოს იმ პირთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორს ზურაბ ოშხნელს.

6. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

რექტორი გიგი თევზაძე